შემოსვლის თარიღი: 22/02/2022 წ

გასვლის თარიღი: 14/03/2022 წ

დასკვნა

ქ. ბათუმში, თამარ მეფის დასახლება №15-ში მდებარე 1230 კვ.მ. მიწის ფართობზე არსებული საცხოვრებელი კორპუსის (ს/კ 05.30.29.025) ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ ძირითადი შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. არადამაკმაყოფილებელი და გარკვეული საფრთხის შემცველია (იგულისხმება სეისმიური ზემოქმედება) უსისტემოდ და კონსტრუქციულად გაუმართავად მიშენებული ნაწილის მდგომარეობა. დაზიანებათა კლასიფიკაციის მიხედვით მას გააჩნია ძირითადად II – III ხარისხის დაზიანებები. ჯდენების და გზარების სიდიდიდან, აგრეთვე სამუშაოს შესრულების სირთულიდან გამომდინარე, აღნიშნულ მიშენებებში სარეაბილიტაციო-გაძლიერების სამუშაოების ჩატარება არარენტაბელურია და საფრთხის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა განხორციელდეს დემონტაჟი, შემდგომში სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით ახლის მშენებლობით ან/და შენობის საწყისი მდგომარეობის აღდგენით. რაც შეეხება სადარბაზოებს, მოუვლელობის გამო მათი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროა ჩაუტარდეს კაპიტალური რემონტი.

დაწვრილებით განმარტებები გაკეთებულია დასკვნის კვლევით ნაწილში.